ევროკავშირი
საქართველოსთვის

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

პროექტი:
ნაბიჯ-ნაბიჯ ევროკავშირისკენ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თემისა და სათემო ორგანიზაციების ჩართულობა მუნიციპალურ პროგრამებში გორსა და ქარელში

მონიტორინგის ანგარიში და რეკომენდაციები

2024

ეს პუბლიკაცია შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის **“სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის”* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

კვლევის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია ასახავს 2020-2024 წლებში გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სფეროში განხორციელებული პროგრამების მონიტორინგის შედეგებს. დოკუმენტი მომზადებულია „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის“ მიერ, პროექტის - „ნაბიჯ-ნაბიჯ ევროკავშირისკენ“ ფარგლებში, 2024 წლის თებერვალი-ივნისის პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თემისა და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციამ ჩაატარა სამი სეგმენტის გამოკითხვა. ესენია:

1. გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტები;
2. შიდა ქართლის რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
3. გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

დოკუმენტში, ასევე, მიმოხილულია კვლევის პერიოდში გამოვლენილი ხარვეზები და მოცემულია რეკომენდაციები.

,,კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“ 2001 წლიდან არსებობს და ახორციელებს ისეთ პროექტებს თუ პროგრამებს, რომლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და სოციალიზაციითვისაა განკუთვნილი. სწორედ ამან გახადა ორგანიზაცია ცნობადი ამ რეგიონში მცხოვრები შშმ პირებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, რამაც განაპირობა ორგანიზაციის წევრების მრავალფეროვნება და რაოდენობა. ჩვენთან ყველანაირი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარია გაწევრიანებული. როგორც მენტალური, ასევე ფიზიკური შეზღუდვით. შექმნილია წევრთა ბაზა. ისინი მუდმივად ადევნებენ თვალს ჩვენს მიერ განხორციელებულ პროექტებს და მაქსიმალურად ცდილობენ ჩართვას და აქტიურობას.

სწორედ ეს დაგვეხმარა ჩაგვეტარებინა კვლევა და წინ წამოგვეწია პრობლემები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. რესპოდენტების შერჩევაც მოხდა თითქმის ყველა კატეგორიის ბენეფიციარის ჩართულობით. რადგან ისეთი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარი, ვინც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება ან ვერ იღებს გადაწყვეტილებას, მნიშვნელოვანია ოჯახის წევრის აზრი. ვფიქრობთ, ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო სწორედ ყველა კატეგორიის შშმ პირთა აზრი.

მუნიციპალიტეტები

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გამოგვევლინა თუ რა პროგრამები და სერვისებია ამჟამად ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რამდენად მოხდა მათი დაგეგმარების პროცესში თემის ჩართვა, რა საშუალებებით ხდებოდა მოსახლეობის ინფორმირება, რამდენი დაიხარჯა ბიუჯეტიდან მათ განსახორციელებლად და რამდენად ეფექტურია ხსენებული დანახარჯი.

მოპოვებული მონაცემების თანახმად, 2020-2024 წლებში გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტების მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განხორციელდა ხუთი პროგრამა: ერთი - გორის, ხოლო ოთხი - ქარელის მუნიციპალიტეტში.

გორის მუნიციპალიტეტი:

- შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე

ქარელის მუნიციპალიტეტი:

- შშმ პირთა დახმარების პროგრამა
- ცელიაკიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით (დიალიზით) მყოფ პირთა დახმარება
- მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება
- ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება

ზემოხსენებული პროგრამები მოიცავს ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების კატეგორიებს და მათში ჩართული იყვნენე ცელიაკიით დაავადებული, უსინათლო და ცერებრალური დამბლის მქონე პირები.

რაც შეეხება დაფინანსებას, 2020-2024 წლების პერიოდში მუნიციპალი-ტეტს ზემოხსენებული პროგრამების განსახორციელებლად დახარჯული აქვს 503,188 ლარი. აღსანიშნავია, რომ დაფინანსება 2020 წლიდან მოყოლებული ორჯერ შემცირდა და გაიზარდა წინა წელთან მიმართებით, ყველაზე დიდ მაჩვენებელს კი 2024 წელს მიაღწია.



პროგრამების დაგეგმარების ეტაპზე მუნიციპალიტეტს არცერთ სათემო ორგანიზაციასთან არ უთანამშრომლია. განხორციელების ეტაპზე კი გამოიკვეთა ერთი ორგანიზაცია. ზოგადად, მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის არასრული და ადექვატურად ვერ ასახავს არსებულ რეალობას. არ არსებობს სტატისტიკა ბენეფიციართა შესახებ, არ ხორციელდება მუნიციპალური პროგრამების მონიტორინგი და არ კონტროლდება ხსენებული პროგრამების ხარჯთეფექტურობა.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მაშინ, როცა ადგილობრივი ხელისუფლება ბიუჯეტის თანხებს სხვადასხვა პროგრამების განხორციელებაზე ხარჯავს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი კონკრეტული თემის უფლებებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციები ხსენებული პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

როგორც გამოიკვეთა, კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების 54%-ს არ ქონდა რაიმე სახის ინფორმაცია პროგრამების შესახებ. რაც შეეხება ჩართულობას, ინფორმირებული ორგანიზაციების 79% არცერთი ფორმით არ ყოფილა პროცესებში ჩართული, 13% მხოლოდ დაგეგმარების, ხოლო 8% - მხოლოდ მონიტორინგის პროცესებში მონაწილეობდა. აღსანიშნავია, რომ განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტებს ხსენებული პროგრამების ფარგლებში გამოკითხვაში მონაწილე არცერთ ორგანიზაციასთან არ უთანამშრომლია. მათ შორის, ვინც ჩართული იყო დაგეგმარებისა და მონიტორინგის პროცესებში, 45%-ის თქმით მუნიციპალიტეტებს მათი რეკომენდაციები არ გაუთვალისწინებიათ, 45% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ მოხდა მათი რეკომენდაციების გათვალისწინება და მხოლოდ 10% აცხადებს, რომ სრულად იქნა გათვალისწინებული მათი რეკომენდაციები. მონიტორინგის პროცესებში ჩართული ორგანიზაციების 20-20% გამოკვეთილ საჭიროებებში ასახელებს სივრცეების ადაპტირებას, შშმ პირთათვის საპარკინგე ადგილების მოწყობასა და პროგრამების შემუშავებამდე თემის საჭიროებების კვლევას, ხოლო 40% - ცერებრალური დამბლის მქონე პირებისათვის დახმარების მოცულობის გაზრდას.



შშმ პირები

გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა გამოევლინა გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამებისა და სერვისების დაგეგმარებისა და განხორციელების პროცესში.



ორივე მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 164-მა შშმ პირმა. მათ შორის, 151-მა გორის, ხოლო 13-მა ქარელის მუნიციპალიტეტიდან. გამოკითხულთა შორის 119 ქალია, ხოლო 45 - მამაკაცი. რაც შეეხება მონაწილეთა სეგრეგაციას ასაკობრივი ზღვრის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 26-64 წლამდე ასაკის პირებში დაფიქსირდა. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 164 გამოკითხულიდან 73 გორსა და ქარელზე გადანაწილდა, ხოლო 91 - შესაბამისი მუნიციპალიტეტების სოფლებზე. განათლების დონის მიხედვით, უმაღლესი განათლება აქვს 14%-ს, პროფესიული - 9%-ს, ხოლო საშუალო - 77%-ს. მათგან 22% დასაქმებულია, 24% - თვითდასაქმებული და 54% - უმუშევარი. დასაქმებული და თვითდასაქმებული 75 პირიდან, საჯარო სექტორში მუშაობს 11 ადამიანი, სამოქალაქო სექტორში - 7, კერძო სექტორში - 28, ხოლო შინამეურნეობით დაკავებულია 29 პირი. გამოკითხულ შშმ პირთა უმეტესობას (55%-ს) მობილობის შეზღუდვის მქონე პირები წარმოადგენენ. დარჩენილი 45% კი გადანაწილდა სენსორული, ინტელექტუალური და შერეული შესაძლებლობის მქონე პირებზე.



შეზღუდული შესაძლებლობის პირების საჭიროებებს შორის თემი გამოყოფს ჯანდაცვას, განათლებას, დასაქმებას, გარემოს ადაპტირებასა და პერსონალური ასისტენტის მომსახურებას. ჩამოთვლილი საკითხებიდან პრიორიტეტულობით ჯანდაცვა გამოირჩევა.



ზოგადი სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, გამოკითხვის მონაწილე პირებს დაესვათ კითხვა თუ რამდენად იცნობდნენ საკუთარ მუნიციპალიტეტში მიმდინარე თუ განხორციელებულ პროგრამებს და რა წყაროთი შეიტყვეს მათ შესახებ, ასევე, იყვნენ თუ არა თავად ჩართულნი ამა თუ იმ კონკრეტული პროგრამის დაგეგმარების პროცესში და თავად თუ სარგებლობდნენ ან უსარგებლიათ ხსემენული პროგრამით. მონაწილეებს, აგრეთვე, ეთხოვათ გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები, რომელთა გათვალისწინებასაც ისურვებდნენ სამომავლო პროგრამების შემუშავებისას. ქვემოთ მოტანილია ინფორმაცია თითოეული პროგრამის შესახებ:

- **შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე (გორი)**

გორის მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამოკითხული 151 მონაწილიდან პროგრამის შესახებ ინფორმირებული იყო 57%-ზე მეტი. ინფორმაციის წყაროდ 20-20%-მა ტელევიზია და ახლობელი დაასახელა, 16%-მა - სოციალური ქსელი, 14%-მა სათემო ორგანიზაციიდან შეიტყო პროგრამის შესახებ, 4%-მა - მასმედიით, ხოლო 3-3% ვებგვერდსა და SMS-რეკლამაზე გადანაწილდა. დარჩენილ 26%-ს კი საერთოდ არაფერი სმენიათ პროგრამის შესახებ. გამოკითხულთა 81% აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან მათ არავინ დაკავშირებია კონსულტაციისთვის პროგრამის დაგეგმარების ეტაპზე და არც თავად ყოფილა ჩართული პროგრამაში როგორც ბენეფიციარი. ზოგადი კმაყოფილების მაჩვენებელი გამოკითხულთა შორის უფრო მაღალია, ვიდრე უკმაყოფილებისა. რაც შეეხება სამომავლოდ გასათვალისწინებელ საკითხებს, ესენი შემდეგია:

- ✓ გაიზარდოს მედიკამენტებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების დაფინანსება და ჯანდაცვის სერვისები გახდეს უფასო;
- ✓ მოხდეს გარემოს ადაპტირება (უსინათლოთათვის) და დაინიშნოს მეტი ადაპტირებული მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალება;
- ✓ დასაქმების პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე პირისათვის.

- **შშმ პირთა დახმარების პროგრამა (ქარელი)**

გამოკითხული 13 პირიდან პროგრამის არსებობის შესახებ იცის 46%-მა, მათგან დაახლოებით 85%-მა ინფორმაცია ახლობლისგან მიიღო. 15% აცხადებს, რომ დაუკავშირდნენ მუნიციპალიტეტიდან, რათა ეკითხათ მისი აზრი პროგრამის შესახებ, თუმცა გათვალისწინებით არაფერი გაუთვალისწინებიათ. რაც შეეხება ჩართულობას, პროგრამაში, როგორც ბენეფიციარი, ჩართული იყო დაახლოებით 65%. აღნიშნული მონაცემი წინააღმდეგობაში მოდის წინა მონაცემთან, რომლის მიხედვითაც მხოლოდ 46% იყო ინფორმირებული პროგრამის შესახებ. აღნიშნული ხარვეზი გვაფიქრებინებს, რომ რესპოდენტებმა სათანადოდ ვერ გაიგეს შეკითხვა. თუმცა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ უცვლელად დავტოვოთ ყველა მონაცემი. პროგრამით უკმაყოფილებას გამოთქვამს 46%. რაც შეეხება რეკომენდაციებს, გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა ხარვეზად ინფორმაციის ნაკლებობას ასახელებს.

- **ცელიაკიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით (დიალიზით) მყოფ პირთა დახმარება (ქარელი)**

პროგრამის შესახებ ინფორმირებულია 8%. ინფორმაციის ძირითად წყაროდ ამ შემთხვევაშიც ახლობელი სახელდება (62%). 8% აცხადებს, რომ დაუკავშირდნენ საკონსულტაციოდ, თუმცა არცერთი მათი რეკომენდაცია პროგრამაში გათვალისწინებული არ ყოფილა. მონაწილეთაგან არცერთი თავად არ ყოფილა ჩართული ზემოხსენებულ პროგრამაში. ხარვეზად აქაც ინფორმაციის ნაკლებობა სახელდება.

- **მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება (ქარელი)**

პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა 8%-ში დაფიქსირდა. მათგან ყველასთან გაიარა მუნიციპალიტეტმა კონსულტაციები და საჭიროებები ასახა პროგრამაში. თავად გამოკითხულთაგან, არცერთი უშუალოდ ჩართული პროგრამაში არ ყოფილა. ძირითად ხარვეზად ისევ ინფორმირებულობის დაბალი დონე სახელდება.

- **ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება (ქარელი)**

გამოითხულთა 38% აცხადებს, რომ აქვს ინფორმაცია აღნიშნული პროგრამის შესახებ. ახლობელი, როგორც ინფორმაციის წყარო, ამ შემთხვევაშიც ლიდერულ პოზიციას ინარჩუნებს და პასუხების დაახლოებით 85%-შია დაფიქსირებული. ასევე, 38%-თან გაიარა კონსულტაციები მუნიციპალიტეტმა და სრულად გაითვალისწინა წარდგენილი რეკომენდაციები. უშუალოდ პროგრამაშიც 38% იყო ჩართული ბენეფიციარის სახით. მონაწილეების 100% მაღალ შეფასებას აძლვს პროგრამას, თუმცა რეკომენდაციებში კვლავაც საყურადღებოა თემის ინფორმირებულობისა და ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდის საკითხები.

ოთხივე პროგრამის ირგვლივ გაცემული პასუხების შეჯამებისას შეგვიძლია მყარად განვაცხადოთ, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა გასცეს მეტი ინფორმაცია როგორც მიმდინარე, ისე დაგეგმილი პროგრამების შესახებ, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს თემის მონაწილეობა პირველ შემთხვევაში დაგეგმარების, ხოლო მეორე შემთხვევაში - განხორციელების პროცესში.

ხარვეზები, ბარიერები და რეკომენდაციები

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ ჩაგვენიშნა ყველა ის ხარვეზი თუ ბარიერი, რომელსაც პროექტის გუნდი გადააწყდა კვლევის პროცესში. აქვეა მოცემული რეკომენდაციები მათი დაძლევის შესახებ.

1. ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტების მიერ ხდება ვადების გადაცილებით და არასრული სახით; დაბალია მუნიციპალიტეტსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის დონე.
რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტების დონეზე განისაზღვროს შშმ საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციებთან კომუნიკაციასა და თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, რომელსაც ექნება ვალდებულება, რომ ხსენებული ორგანიზაციები ჩააყენოს თემის ირგვლივ მიმდინარე პროცესების საქმის კურსში. ასევე, პასუხისმგებელი იქნება პროგრამების შესახებ ინფორმაციის დამუშავებაზე, ვებგვერდზე განთავსებასა და დაინტერესებულ პირებზე გაცემაზე, დროულად და სრული ფორმით.

2. დაბალია გმოკითხვაში შშმ პირთა აქტიურობის დონე.
რეკომენდაცია: დაიგეგმოს და ჩატარდეს საინფორმაციო კამპანია თემის მონაწილეობის წასახალისებლად, ბიუჯეტიდან მონაწილეებისათვის გამოიყოს გარკვეული ოდენობის თანხა.

3. შშმ პირთა მიერ შევსებული კითხვარები ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს შეიცავს, რის გამოც მათი სანდოობა საეჭვოა.
რეკომენდაცია: საჭიროა კითხვარების შევსება მოხდეს არა უშუალოდ გამოკითხვაში მონაწილე პირის მიერ, არამედ ინტერვიუერის მიერ, სატელეფონო გამოკითხვის ან პირდაპირი გამოკითხვის მეთოდით.

4. დაბალია შშმ თემის ინფორმირებულობისა და კონსულტაციებში ჩართულობის დონე.
რეკომენდაცია: მუნიციპალიტეტმა აქცენტი უნდა გააკეთოს პროგრამის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებელ აქტივობებზე.

5. თემის წევრებს შორის დაბალია პროფესიული და უმაღლესშში განათლების, აგრეთვე დასაქმების მაჩვენებელი.
რეკომენდაცია: აქცენტი გაკეთდეს ისეთ პროგრამებზე, რომლებიც ორიენტირებული იქნება თემის უნარების გაძლიერებასა და დასაქმების ხელშეწყობაზე.